

სანდრო სხირტლაძე

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა

FH JOANNEUM University of Applied Sciences, Austria

„კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარების პირველივე დღიდან მქონდა მიზნად დასახული გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება. რამდენიმე წლის განმავლობაში თავდაჯერებულობის და შრომის ფასად შევძელი 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში ავსტრიაში მესწავლა. არც ისე მარტივი იყო, უცხო ქვეყანაში მარტო ჩასვლა და ცხოვრება, თუმცა ყველანაირი სირთულის მიუხედავად, შევიძინე მეგობრები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, მივიღე უცხოელ სტუდენტებთან ურთიერთობის გამოცდილება, გავხდი დამოუკიდებელი ადამიანი და რაც მთავარია, მივიღე ევროპული ღონის განათლება.

გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა დაუვიწყარი ცხოვრებისეული გამოცდილებაა, რომელიც ცვლის ადამიანს და მის მსოფლმხედველობას. ვისურვებდი, რომ ბევრს ჰქონდეს უცხოეთში სწავლის და ცხოვრების შანსი.“